აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის სხდომის

ოქმი №17

04/12/2020 წელი **ქ. ბათუმი**
13[00] საათი.

სხდომას თავმჯდომარეობდა უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე, პარმენ ჯალაღონია.

სხდომას ესწრებოდნენ: სოფიო კახაძე, ტარიელ გოგიტიძე, ირაკლი გვარჯალაძე, მარიამ გუგუნავა, კობა გაბაიძე, რამაზ ფირცხალაიშვილი და დავით ქარცივაძე.

არ ესწრებოდნენ: ნოდარ მელაძე, ირაკლი გვარამია, დავით ჯინჯოლავა და კახაბერ ჯაიანი.

აგრეთვე ესწრებოდნენ: საარჩევნო სუბიექტების და მასმედიის წარმომადგენლები.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ, სხდომა გახსნილად გამოაცხადა, კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი.

დღის წესრიგის პროექტი:

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნების საბოლოო შედეგების შეჯამება;

2. სხვადასხვა.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ, კენჭისყრაზე დააყენა წინადადება დღის წესრიგის წარმოდგენილი პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე	8;
წინააღმდეგი	0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 8 წევრი:)

დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნების საბოლოო შედეგების შეჯამება;

2. სხვადასხვა.

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნების საბოლოო შედეგების შეჯამება.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ, აღნიშნა, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საარჩევნო კომისიაში არცერთი საოლქო საარჩევნო კომისიის 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნების შედეგების (როგორც პირველი ასევე მეორე ტური) შემაჯამებელი ოქმები არ გასაჩივრებულა, არც რაიმე სახის განცხადება ან საჩივარი რომელიც შეეხებოდა არჩევნების შედეგების ბათილობას ან ეჭქვეშ დააყენებდა არჩევნების შედეგებს უსკოში არ დაფიქსირებულა შესაბამისად, საარჩევნო კანონმდებლობის თანახმად, უსკო უფლებამოსილია საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიებისაგან მიღებული ოქმებისა და სასამართლოს გადაწყვეტილებების საფუძველზე მეორე ტურის კენჭისყრის დღიდან არაუგვიანეს მე-19 დღისა (შეადგინოს) შეაჯამოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების საბოლოო შედეგები. პარმენ ჯალაღონიამ, საარჩევნო პროცესში ჩართულ ყველა მხარეს, უმაღლესი საარჩევნო კომისიის წევრებს, უსკოს აპარატის ყველა თანამშრომელს, საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიებს მადლობა გადაუხადა გაწეული სამუშაოს შესრულებისთვის, რომელიც მათ გაწიეს საარჩევნო პერიოდში, რის შემდეგაც სთხოვა უმაღლესი საარჩევნო კომისიის მდივანს, სოფიო კახაძეს, გაეცნო კომისიის წევრებისათვის და დამსწრე საზოგადოებისათვის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნების საბოლოო შედეგები.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის მდივანმა, სოფიო კახაძემ, კომისიის წევრებსა და დამსწრე საზოგადოებას გააცნო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნების საბოლოო შედეგების შემაჯამებელი ოქმის მონაცემები.

- ✓ **ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა: 314 889**
- ✓ **ყოველი მაჟორიტარული საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა:**

მაჟორიტარული საარჩევნო ოლქის №	ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა
28	147 292
29	70 837
30	96 760

- ✓ **პროპორციული საარჩევნო სისტემით ჩატარებულ არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა რაოდენობა: 186 863**

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის მდივანმა, სოფიო კახაძემ, დამსწრე საზოგადოებას გააცნო კანონმდებლობით დადგენილი 5%-იანი საარჩევნო ბარიერ გადალახული საარჩევნო სუბიექტები და მიღებული მანდატების რაოდენობა.

№	პარტიის/ბლოკის დასახელება	მიღებული ხმების რაოდენობა	%	მიღებული მანდატების რაოდენობა
5	„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა- გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია‘	61 242	33.96	7
41	„ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“	82 700	45.86	14

სოფიო კახაძის განცხადებით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 ოქტომბრის მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით ჩატარებულ არჩევნებში №28, №29 და №30 მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში, უმაღლესი საბჭოს წევრებად არჩეული არიან საარჩევნო სუბიექტის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ მიერ წარდგენილი კანდიდატები.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

საარჩევნო კანონმდებლობის შესაბამისად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ და კომისიის მდივანმა, სოფიო კახაძემ ხელი მოაწერეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნების საბოლოო შედეგების შემაჯამებელ ოქმს. ***(არჩევნების საბოლოო შედეგების შემაჯამებელი ოქმი თან ერთვის)***

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ, კიდევ ერთხელ მიულოცა დამსწრე საზოგადოებასა და საარჩევნო პროცესში ჩართულ ყველა მხარეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნების საბოლოო შედეგების შეჯამება და არჩევნების დასრულება.

2. სხვადასხვა

სხდომაზე სხვა განსახილველი საკითხები არ წამოჭრილა.

სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ, სხდომა დახურულად გამოაცხადა.

კომისიის თავმჯდომარე	**პარმენ ჯალაღონია**
კომისიის მდივანი	**სოფიო კახაძე**